




სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საქართველოს კოალიციის აქტივობები

საქართველოს კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის 2003 წელს შეიქმნა, რომლის მიზანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებისათვის (გენოციდი, ომის დანაშაულები, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და აგრესია) პასუხისმგებლობის დამკვიდრების ხელშეწყობა და ამგვარ დანაშაულთა დაზარალებულთათვის სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა. კოალიციის წევრი ორგანიზაციები წარმოადგენენ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა ინტერესებს როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ჰააგის სასამართლოს წინაშე.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენის მიზანია ბოლო პერიოდში საქართველოს კოალიციის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

2008 წლის აგვისტოს ომიდან 12 წლის შემდეგაც დაზარალებულები კვლავ მძიმე სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან დევნილ დაზარალებულთა მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს კოალიციამ განსახლების ადგილზე მათი ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საჭიროებები შეისწავლა. ამ მიზნით საქართველოს მასშტაბით 36 დევნილთა დასახლებაში მცხოვრები 2400 ოჯახი გამოკითხა. გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კოალიციამ ანგარიში „10 წელი აგვისტოს ომიდან – დაზარალებულთა მდგომარეობა საქართველოში“ გამოსცა.



ანგარიშის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაზარალებულები კვლავ მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობენ. ყველაზე მეტ სირთულეს გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები, სამუშაო ადგილების არარსებობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წამოწყების შეუძლებლობა ქმნის. დაზარალებულთა დასახლებებში ასევე მძიმეა ყოველდღიური

პირობები ტრანსპორტირების, საგზაო თუ საირიგაციო ინფრასტრუქტურის, სამედიცინო

სერვისებზე, სკოლამდელ და სასკოლო განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემების გამო.

ანგარიშის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემების ადვოკატირების მიზნით, კოალიციამ არაერთი შეხვედრა გამართა ჰააგის სასამართლოსთან არსებულ დაზარალებულთა ნდობის ფონდთან. ადვოკატირების შედეგად 2019 წელს ნდობის ფონდმა აგვისტოს ომის დროს დაზარალებულთა მდგომარეობის შეფასება დაიწყო, რის საფუძველზეც 2020 წლის პერიოდში ფონდის გამგეობა დაზარალებულთა დახმარების მიზნით კონკრეტული მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების საკითხს გადაწყვეტს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულები კვლავ გამოუძიებელია

2008 წლის აგვისტოს ომს ასეულობით ადამიანი ემსხვერპლა, არაერთი მშვიდობიანი მოქალაქე თუ სამხედრო პირი დაზარალდა და შეილახა მათი ფუნდამენტური უფლებები. ომის დროს ადგილი ჰქონდა სამოქალაქო მშვიდობიანი მოსახლეობის განზრახ მკვლელობის, გაუჩინარების, ქონების მასობრივი განადგურების და ძარცვის, იძულებითი გადაადგილების და დევნის, სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს.

2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები დოკუმენტირებულია ანგარიშებში „აგვისტოს ომის ნანგრევებში“ და „10 წელი აგვისტოს ომიდან – დაზარალებულთა მდგომარეობა საქართველოში.“

ომის დროს მომხდარ დანაშაულებს ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისი 2016 წლის იანვრიდან იძიებს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების დაწყებიდან 4 წელზე მეტი გავიდა, დღემდე არ მომხდარა 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და დამნაშავე პირთა დასჯა. აღნიშნული დანაშაულების სათანადოდ გამოძიება და პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა ეროვნულ დონეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებშიც არ მომხდარა.



ICC პროკურორი საქართველოს სიტუაციაზე



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება - საქართველოს სიტუაცია

საქართველოს სიტუაციის გამოძიების ხარვეზები

საქართველოს კოალიციის აქტივობები ცნობიერების ამაღლების მიმართულებით

2016 წელს, მას შემდეგ, რაც ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისმა საქართველოს სიტუაციაზე გამოძიება დაიწყო, დაზარალებულებისა და საზოგადოებისთვის სასამართლოს და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების საჭიროება გამოიკვეთა. ამ დროის განმავლობაში საქართველოს კოალიციამ სხვადასხვა აქტივობები განახორციელა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, კერძოდ:



საქართველოს კოალიციამ გამოსცა **ბროშურა**, რომელშიც გადმოცემულია ინფორმაცია ჰააგის სასამართლოს და საქართველოს სიტუაციის შესახებ. აღნიშნული ბროშურები დევნილთა განსახლების ადგილებში დარიგდა.

დევნილთა 36 დასახლებაში საჯარო და პირისპირ შეხვედრების ფარგლებში დაზარალებულებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ.

2020 წელს შექმნა ვებსაიტი - www.gcicc.ge. საიტის მიზანს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მისი ორგანოების, საქართველოში მიმდინარე გამოძიებისა და დაზარალებულთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კოალიციის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს. საიტზე განთავსებულია ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარ დარღვევებზე საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე არსებული მექანიზმების, დაზარალებულთა ამჟამინდელი მდგომარეობისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების შესახებ. დაინტერესებულ პირებს საიტზე ასევე შეუძლიათ, გაეცნონ ინფორმაციას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე გამოძიებასა და დაზარალებულთა მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ.



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცესი ეროვნულ დონეზე გაუმჭვირვალედ და ხარვეზებით წარიმართა

2020 წელს საქართველომ ჰააგის სასამართლოში აღმოსავლეთ ევროპის კვოტით მოსამართლის პოზიციაზე კანდიდატი წარადგინა. კანდიდატის შერჩევის მიზნით საქართველოს მთავრობამ საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესი **დაამტკიცა**. ეროვნულ დონეზე მოსამართლეთა შერჩევის წესის შემუშავებისას და შერჩევის პროცესში საქართველოს კოალიციამ მთელი რიგი ხარვეზები გამოავლინა. კერძოდ:

1. კონკურსში მონაწილე კანდიდატების ვინაობა და მათ შესახებ ინფორმაცია იუსტიციის სასწავლო ცენტრმა არ გაასაჯაროვა. არ შეიმუშავა მთავრობის მიერ მისთვის წარდგენილი კანდიდატის შერჩევის მოთხოვნები და პროცედურები;
2. სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების როლი არ იყო გათვალისწინებული მოსამართლეთა შერჩევის წესის შემუშავების და შერჩევის პროცესის რომელიმე ეტაპზე;
3. კანდიდატების შერჩევა/შეფასება აწარმოა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, რომელიც არ არის დამოუკიდებელი ორგანო, რადგან ცენტრი იუსტიციის მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული;
4. **საუკეთესო პრაქტიკის** გათვალისწინებით, საქართველოს თავი უნდა შეეცავებინა მთავრობის მოხელის ნომინირებისგან - ამის საპირისპიროდ, საქართველომ იუსტიციის მინისტრის მოქმედი მოადგილის კანდიდატი წარადგინა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კოალიციამ არაერთი **განცხადება** და **წერილობითი მოსაზრება** გამოაქვეყნა.

საქართველოს კოალიციის რეკომენდაციები ჰააგის სასამართლოს საქმიანობის და სისტემის გაუმჯობესების ხელშესაწყობად

ბოლო წლებში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც სასამართლო სისტემის ეფექტიანობას და დამოუკიდებლობას აკნინებს. არსებული პრობლემების გათვალისწინებით სასამართლო ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი სხვადასხვა აქტორების მხრიდან. აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით სასამართლოს და წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის ეგიდით დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც სასამართლოს ორგანოების საქმიანობის გარკვეული ასპექტების შეფასების უფლებამოსილება მიენიჭა.



2020 წლის აპრილში საქართველოს კოალიციამ დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები წარუდგინა. წარდგენილი დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა პრობლემებს, რომლებიც კოალიციის მიერ იქნა გამოვლენილი საქართველოს სიტუაციის გამომიებაზე მუშაობის პროცესში. კერძოდ,

- წინასწარი მოკვლევის დაუსაბუთებელი ხანგრძლივობა და ამ ეტაპზე შესაძლო მტკიცებულებების დაცვის არარსებობა;
- გამომიების ხანგრძლივობა, გამომიების მიმდინარეობის შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობა;
- წინასწარი მოკვლევის და გამომიების ეტაპზე მსხვერპლთა შეზღუდული ჩართულობა;
- ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტივობების ნაკლებობა;
- დაზარალებულთა ნდობის ფონდის მონაწილეობის ჩართულობის და ეროვნულ დონეზე პროექტების განხორციელების გაჭიანურება.